

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის

უმაღლესი საარჩევნო კომისიის

რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისია (შემდგომში - უსკო) უზრუნველყოფს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების მომზადებას და ჩატარებას, საქართველოს მოქალაქეთა საარჩევნო უფლების სრულ და განუხრელ განხორციელებას, აგრეთვე თავისი უფლებამოსილების ფარგლებში აკონტროლებს აჭარის მთელ ტერიტორიაზე საარჩევნო კანონმდებლობის ერთგვაროვან გამოყენებას.

2. თავის საქმიანობაში იგი ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“, საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სხვა კანონებით, კანონქვემდებარე აქტებითა და ამ რეგლამენტით. *(02.03.2010 №1 დადგენილება)*

3. რეგლამენტი განსაზღვრავს უსკოს უფლებამოსილებათა განხორციელების წესებს, პროცედურას, უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის სტრუქტურას და სავალდებულოა უმაღლესი საარჩევნო კომისიის ყველა წევრისა და აპარატის თანამშრომლებისათვის, აგრეთვე უმაღლეს საარჩევნო კომისიას დაქვემდებარებული ყველა ორგანოსათვის.

4. უსკოს აქვს დასრულებული ბალანსი, ხარჯთაღრიცხვა, ბეჭედი, ტვიფრი და ავტორი დაწესებულების კოდი. გაერთიანებულია ხაზინაში.

5. უსკოს იურიდიული მისამართია: ქ. ბათუმი, გოგებაშვილის ქ.№ 2.

6. უსკოს ხელმძღვანელობს და წარმოადგენს მისი თავმჯდომარე.

7. უსკო მუშაობს კვირაში ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში, სამუშაო დღის 9 საათიდან 18 საათამდე (შესვენება 13 საათიდან 14 საათამდე).

7¹. საარჩევნო პერიოდში უსკოს მუშაობის პერიოდულობა და სამუშაო დღის ხანგრძლივობა განისაზღვრება უსკოს თავმჯდომარის ბრძანებით.
(31.07.12 №1 დადგენილება)

8. უსკოს სამართლებრივი აქტებია:

ა) უსკოს დადგენილება;

ბ) უსკოს განკარგულება;

გ) უსკოს თავმჯდომარის განკარგულება;

გ¹) უსკოს თავმჯდომარის ბრძანება; (28.07.2008 №1 დადგენილება)

დ) უსკოს მდივნის განკარგულება;

ე) არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი. (31.07.12 №1 დადგენილება)

მუხლი 1¹. უსკოს უფლებამოსილება (30.12.13 №1 დადგენილება)

უსკო:

ა) უზრუნველყოფს უმაღლესი საბჭოს არჩევნების გამართვას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, აკონტროლებს საარჩევნო კანონმდებლობის შესრულებას და უზრუნველყოფს მის ერთგვაროვან გამოყენებას;

ბ) დადგენილებით იღებს უსკოს, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების რეგლამენტებს;

გ) გამონაკლის შემთხვევაში, თუ შეუძლებელი გახდა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით დადგენილი გარკვეული მოთხოვნების შესრულება/ვადების დაცვა, უფლებამოსილია დადგენილებით განსაზღვროს ჩასატარებელი არჩევნების/გასამართი კენჭისყრის საარჩევნო ღონისძიებები და ვადები; ასევე, აუცილებლობის შემთხვევაში, ამ კანონის შესაბამისად, საქართველოს პრეზიდენტს წარუდგინოს წინადადება არჩევნების ახალი თარიღის დანიშვნის თაობაზე;

დ) განკარგულებით საარჩევნო პერიოდში ქმნის საარჩევნო ოლქებს და აზუსტებს მათ საზღვრებს;

ე) აუცილებლობის შემთხვევაში, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით გათვალისწინებულ საკითხთა გადასაწყვეტად, უფლებამოსილია განკარგულებით, რომელიც მიიღება სრული შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედით, შექმნას სპეციალური ჯგუფი, განსაზღვროს მისი უფლებამოსილების ფარგლები და მოქმედების ვადა;

ვ) თუ ქვემდგომი საარჩევნო კომისია არ ან ვერ ასრულებს კანონმდებლობით დაკისრებულ მოვალეობას, უფლებამოსილია განკარგულებით, რომელიც მიიღება სრული შემადგენლობის სულ ცოტა ორი მესამედით, უფლებამოსილება შეუწყვიტოს ამ კომისიას და შექმნას დროებითი ჯგუფი, რომელსაც კომისიის ხელახლა შექმნამდე დაეკისრება მისი უფლებამოსილების განხორციელება;

ზ) „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით განსაზღვრული ვადების შესაბამისად, განკარგულებით ადგენს საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკს;

თ) განკარგულებით ნიშნავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე, ხელახალ და შუალედურ არჩევნებს, განმეორებით კენჭისყრას, არჩევნების მეორე ტურს;

ი) საკუთარი ინიციატივით ან განცხადების/საჩივრის საფუძველზე, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით საარჩევნო დავების განხილვისათვის დადგენილი წესით ამოწმებს საარჩევნო კომისიების, მათი თანამდებობის პირების გადაწყვეტილებებისა და აქტების კანონიერებას და დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში განკარგულებით ბათილად ცნობს ან ცვლის მათ; განკარგულებით იღებს გადაწყვეტილებას შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისიიდან შემოსული პაკეტების გახსნისა და საარჩევნო ბიულეტენების/ამომრჩეველთა სიების ხელახლა დათვლის შესახებ. საარჩევნო ბიულეტენების ხელახლა დათვლის შემთხვევაში უსკომ ეს უნდა აცნობოს ყველა საარჩევნო სუბიექტსა და დამკვირვებელ ორგანიზაციას, რომელთა წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ ბიულეტენების დათვლას საარჩევნო უბანზე, და მათი სურვილის შემთხვევაში უზრუნველყოს მათი წარმომადგენლების დასწრება ხელახლა დათვლის პროცესზე;

კ) საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე აჯამებს პროპორციული წესით ჩატარებული უმაღლესი საბჭოს არჩევნების (პარტიული სიები) შედეგებს, რის თაობაზეც დგება უსკოს არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი;

ლ) განკარგულებით ანიჭებს არჩევნების დამკვირვებლის სტატუსს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში აღნიშნულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, აგრეთვე საერთაშორისო ორგანიზაციას, სხვა სახელმწიფოში რეგისტრირებულ ორგანიზაციას, სხვა სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოთა წარმომადგენლების ჯგუფს;

მ) დადგენილებით განსაზღვრავს არჩევნების გამართვისათვის გამოყოფილი თანხის განაწილებისა და გამოყენების წესს;

ნ) განკარგულებით ადგენს საარჩევნო ბიულეტენების ფორმას; ბიულეტენების ტექსტებს; საარჩევნო ყუთების, საარჩევნო კონვერტებისა და საარჩევნო კომისიების ბეჭდების სახეებს; „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით განუსაზღვრელი, მაგრამ არჩევნების ორგანიზებისათვის საჭირო საარჩევნო საბუთების სახეს;

ო) ანგარიშვალდებულია უმაღლესი საბჭოს წინაშე, რომელსაც წარუდგენს ანგარიშს ყოველი არჩევნების შედეგების შეჯამებიდან 60 დღის ვადაში;

პ) უზრუნველყოფს საოლქო საარჩევნო კომისიებიდან მიღებული კენჭისყრის/არჩევნების შედეგების კომპიუტერულ დამუშავებას და დაუყოვნებლივ განთავსებას უსკოს ვებგვერდზე, ხოლო ამ მუხლის „კ“ ქვეპუნქტში აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში – მის უსკოს ვებგვერდზე განთავსებასაც;

ჟ) წარმართავს საოლქო საარჩევნო კომისიების საქმიანობას, პერიოდულად ისმენს მათ ანგარიშებს;

რ) უზრუნველყოფს საინფორმაციო მასალის გამოქვეყნებასა და გავრცელებას;

ს) დადგენილებით იღებს უსკოს აპარატის თანამშრომელთა და საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევი კონკურსების დებულებებს;

ტ) „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით დადგენილი წესით განიხილავს არჩევნებთან დაკავშირებულ განცხადებებსა და საჩივრებს და თავისი უფლებამოსილების ფარგლებში იღებს სათანადო გადაწყვეტილებას;

უ) პასუხისმგებელია ამომრჩეველთა ერთიანი სიის საჯარო ინფორმაციისათვის განკუთვნილი ნაწილის (გვარი, სახელი, დაბადების თარიღი, რეგისტრაციის ადგილი, იძულებით გადაადგილებული პირებისათვის ასევე ფაქტობრივი საცხოვრებლის მისამართი, ამომრჩეველის ამომრჩეველთა ერთიან სიაში რეგისტრაციის თარიღი) უსკოს ვებგვერდზე განთავსებაზე;

ფ) დადგენილებით განსაზღვრავს კენჭისყრის დამატებით წესს და პროცედურებს;

ქ) განკარგულებით ამტკიცებს საშტატო განრიგს და ხარჯთაღრიცხვას უსკოს თავმჯდომარის წარდგინების საფუძველზე;

ღ) განკარგულებით ადგენს საოლქო საარჩევნო კომისიის არჩევნებთან დაკავშირებული ხარჯების ანგარიშის ფორმას;

ყ) განკარგულებით ამტკიცებს უსკოს მომავალი წლის საბიუჯეტო განაცხადს;

შ) განკარგულებით ადგენს მხარდამჭერთა ხელმოწერების მინიმალურ ოდენობას ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი კანდიდატებისთვის;

ჩ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობითა და ამ რეგლამენტით დადგენილ სხვა უფლებამოსილებებს.

თავი II. უმაღლესი საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირები

მუხლი 2. უსკოს ხელმძღვანელი პირები

უსკოს ხელმძღვანელი პირები არიან:

- ა) უსკოს თავმჯდომარე;
- ბ) თავმჯდომარის მოადგილე;
- გ) კომისიის მდივანი.

მუხლი 3. უსკოს თავმჯდომარე (30.12.13 №1 დადგენილება)

უსკოს თავმჯდომარე:

- ა) ასრულებს სრულ ადმინისტრაციულ და ორგანიზაციულ ფუნქციებს უსკოში;
- ბ) იწვევს და უძღვება უსკოს სხდომას;
- გ) განკარგავს უსკოს ფინანსურ სახსრებს;
- დ) რეგისტრაციაში ატარებს არჩევნებში მონაწილე პარტიებსა და საარჩევნო ბლოკებს, და მათ წარმომადგენლებს უსკოში, აძლევს მათ სათანადო მოწმობებს;
- ე) სათანადო მოწმობას აძლევს არჩეულ უმაღლესი საბჭოს წევრს (წევრებს), უმაღლესი საბჭოს წევრის (წევრების) უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში კი – მათ უფლებამონაცვლეს (უფლებამონაცვლეებს);
- ვ) ახალარჩეული უმაღლესი საბჭოს დროებით სამანდატო კომისიას, ხოლო სათანადო მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის შემდეგ – ამ კომისიას გადასცემს

უმაღლესი საბჭოს წევრად არჩეულ პირთა უფლებამოსილების შესამოწმებლად საჭირო დოკუმენტაციას;

ზ) ხელს აწერს უსკოს დადგენილებებსა და განკარგულებებს ასევე უსკოს თავმჯდომარის განკარგულებებსა და ბრძანებებს;

თ) უსკოს კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილებისთვის მიკუთვნიებული საკითხების გარდა, უსკოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე, ადმინისტრაციული და საფინანსო ფუნქციების შესრულებას განსაზღვრული ვადით ავალებს უსკოს შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელს;

ი) საარჩევნო ადმინისტრაციის რეგლამენტის შესაბამისად, დავალებას აძლევს თავმჯდომარის მოადგილეს, კომისიის მდივანს, კომისიის სხვა წევრებსა და კომისიის აპარატის მოსამსახურეებს.

კ) ხელს აწერს უსკოს სხდომის ოქმებს და კომისიის სახელით გასულ დოკუმენტაციასა და კორესპონდენციას;

ლ) გამოსცემს განკარგულებებს;

მ) გამოსცემს ბრძანებებს შიდაუწყებრივ, მოხელეთა დანიშვნის, განთავისუფლების, შვებულების, აპარატის თანამშრომელთა წახალისების, საკადრო და სხვა საკითხებთან დაკავშირებით;

ნ) ნიშნავს და ათავისუფლებს უსკოს აპარატის თანამშრომლებს;

ო) წარმოადგენს უსკოს ხელისუფლების ორგანოებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას.

პ) უშუალოდ ან მის მიერ განსაზღვრული უფლებამოსილი პირის მეშვეობით წარმოადგენს უსკოს, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან და სხვა პირებთან ურთიერთობისას, მათ შორის პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებთან;

ჟ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობითა და ამ რეგლამენტით დადგენილ სხვა უფლებამოსილებებს;

რ) საქმისწარმოებისათვის პასუხისმგებელი სამსახურიდან ნიშნავს გერბიანი ბლანკებისა და ბეჭდების აღრიცხვის, გამოყენებისა და შენახვისათვის პერსონალურად პასუხისმგებელ პირებს და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) ქმნის და ნიშნავს გერბიანი ბლანკებისა და ბეჭდების არსებობის, გამოყენებისა და შენახვის შემმოწმებელი კომისიის წევრებს. (29.12.14 №4 დადგენილება)

მუხლი 4. უსკოს თავმჯდომარის მოადგილე

უსკოს თავმჯდომარის მოადგილე:

- ა) ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას, თუ უსკოს არ ჰყავს თავმჯდომარე ან მას არ შეუძლია თავისი მოვალეობის შესრულება;
- ბ) უსკოს თავმჯდომარის განკარგულებით და თანხმობით ახორციელებს უსკოს თავმჯდომარის ცალკეულ უფლებამოსილებებს (განკარგულებით ზუსტად უნდა განისაზღვროს მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლები და ვადა);
- გ) ახორციელებს კანონით დადგენილ სხვა უფლებამოსილებებს. (31.07.12 №1 დადგენილება)

მუხლი 5. უსკოს მდივანი (30.12.13 №1 დადგენილება)

უსკოს მდივანი:

- ა) ანაწილებს უსკოში შეტანილ საარჩევნო საბუთებსა და უსკოს სახელზე შესულ კორესპონდენციას;
- ბ) რეგისტრაციაში ატარებს უმაღლესი საბჭოს არჩევნებში დამოუკიდებლად მონაწილე პარტიის/საარჩევნო ბლოკის წარმომადგენლებს საოლქო საარჩევნო კომისიებში და აძლევს მათ სათანადო მოწმობებს;
- გ) რეგისტრაციაში ატარებს არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის/საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ უსკოში დანიშნულ დამკვირვებლებს, სხვა სახელმწიფოს ხელისუფლების ორგანოთა მიერ წარგზავნილ დამკვირვებლებს და აძლევს მათ დამკვირვებლის მოწმობებს;
- დ) განკარგულებით ახორციელებს მედიის წარმომადგენლების აკრედიტაციას და აძლევს მათ სააკრედიტაციო ბარათებს;
- ე) უზრუნველყოფს კომისიის სხდომის მომზადებას;
- ვ) ხელს აწერს კომისიის დადგენილებებსა და განკარგულებებს;

ზ) ადგენს არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს;

თ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობითა და ამ რეგლამენტით დადგენილ სხვა უფლებამოსილებებს.

თავი III უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატი

მუხლი 6. აპარატის მართვა

1. არჩევნების ჩატარების ორგანიზაციული, სამართლებრივი და ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით იქმნება და ფუნქციონირებს უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატი, რომლის სტრუქტურა, საქმიანობის წესი და უფლებამოსილებანი განისაზღვრება საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობითა და ამ რეგლამენტით.

2. აპარატს საერთო ხელმძღვანელობას უწევს უსკოს თავმჯდომარე.

3. *(ამოღებულია 16. 03 07 დადგენილება №2)*

მუხლი 7. *(ამოღებულია 16. 03 07 დადგენილება №2)*

მუხლი 8. უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის სტრუქტურა

1. უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის სტრუქტურაში იქმნება შემდეგი სამსახურები:

ა) საერთო;

ბ) იურიდიული;

გ) საორგანიზაციო;

დ) ეკონომიკური;

- ე) საზოგადოებასთან ურთიერთობის;
- ვ) საკადრო სამსახური;
- ზ) *(ამოღებულია 16. 03 07წ დადგენილება №2)*

1¹. უსკოს აპარატის მოხელეთა თანამდებობებია: *(30.12.13 №1 დადგენილება)*

- ა) სამსახურის უფროსი;
- ბ) თავმჯდომარის თანაშემწე;
- გ) ბუღალტერი;
- დ) რეფერენტი;
- ე) სპეციალისტი;
- ვ) მძღოლი;
- ზ) დამლაგებელი.

2. საჭიროებისამებრ, კომისიის დადგენილებით იქმნება სხვა მუდმივი ან/და დროებითი სამსახური.

თავი IV უსკოს სამსახურები

მუხლი 9. აპარატის სამსახურების საერთო ვალდებულებები

1. უსკოს აპარატის სამსახურები ხელმძღვანელობენ საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით და ამ რეგლამენტით.
2. უსკოს აპარატის სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ანთავისუფლებს უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე. *(28.07.2008 №1 დადგენილება)*
3. ყველა სამსახური აღრიცხავს მათ ხელთ არსებულ დოკუმენტაციას საჯარო რეესტრში შესატანად.

4. ყველა სამსახური როგორც წესი ვალდებულია:

ა) კომისიის სხდომის წინა დღის არა უგვიანეს 12 საათისა, კომისიის სხდომებზე განსახილველი, მათ მიერ მომზადებული და ხელმოწერილი დადგენილებების ან/და განკარგულებების პროექტები, იურიდიული სამსახურის ვიზირებით გადასცეს საერთო სამსახურს;

ბ) კომისიის სხდომის მომდევნო დღის არა უგვიანეს 12 საათისა საბოლოო რედაქციით ჩამოყალიბებული მათ მიერ მომზადებული დადგენილებები ან/და განკარგულებების საბოლოო ვარიანტი გადასცეს საერთო სამსახურს.

5. (ამოღებულია 29.12.2014 №4 დადგენილება)

6. ცალკეულ შემთხვევებში უსკოს აპარატის თანამშრომელთა შესასრულებელი სამუშაოების ადმინისტრირების მიზნით, უსკოს თავმჯდომარე უფლებამოსილია ბრძანებით დაამტკიცოს ცალკეულ თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობა. (29.12.2014 №4 დადგენილება)

მუხლი 10. საერთო სამსახური

საერთო სამსახური:

ა) ახდენს შემოსული და გასული ყველა სახის კორესპონდენციის მიღებასა და რეგისტრაციას, სისტემატიზაციასა და დროულად მიწოდებას შესაბამის სამსახურებისათვის; (13.03.14 №2 დადგენილება)

ბ) ახორციელებს გერბიანი ბლანკებისა და ბეჭდების დამზადების, გამოყენებისა და შენახვის კონტროლს, აღრიცხვას, განადგურებას და შენახვას სათანადოდ ჩაკეტილ და დაცულ ადგილას, „იმ ბლანკების, ბეჭდებისა და სხვა საშუალებების დამზადების, გამოყენების, შენახვისა და განადგურების წესების განსაზღვრის შესახებ, რომლებზედაც საქართველოს სახელმწიფო გერბია გამოსახული“ საქართველოს პარლამენტის 2014 წლის 30 ნოემბრის №2858-IX დადგენილებით განსაზღვრული წესის შესაბამისად; 29.12.2014 №4 დადგენილება)

ბ¹) უზრუნველყოფს გერბიანი ბლანკების აღრიცხვისათვის სააღრიცხვო-სარეგისტრაციო ფორმის (ბარათი, ჟურნალი) შემუშავებას და ფორმების დაწესებულების საქმეთა ნომენკლატურაში შეტანას; 29.12.2014 №4 დადგენილება)

გ) ადგენს კომისიის სხდომის ოქმს;

დ) იღებს, ამზადებს და ინახავს მასალებს საარჩევნო სუბიექტების რეგისტრაციაში გასატარებლად;

- ე) ამოწმებს კანდიდატთა და არჩეულ პირთა რეგისტრაციას საარჩევნო ოლქებში;
- ვ) ამოწმებს საარჩევნო სუბიექტების მხარდამჭერთა სიებს;
- ზ) რეგისტრაციის შემდეგ ინახავს ქვემდგომი საარჩევნო კომისიებისაგან მიღებულ შემაჯამებელ ოქმებს და სხვა დოკუმენტაციას;
- თ) უზრუნველყოფს უსკოს მიერ მიღებული დადგენილებების გადაცემას სსიპ „საქართველოს საკანონმდებლო მაცნესათვის“, მის ვებგვერდზე (www.matsne.gov.ge) გამოქვეყნების მიზნით; *(13.03.14 №2 დადგენილება)*
- ი) უზრუნველყოფს დოკუმენტაციის დაგზავნას;
- კ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში ამზადებს უსკოს სხდომებზე განსახილველი დადგენილებების ან/და განკარგულებების პროექტებს;
- ლ) ამრავლებს მასალებს კომისიის სხდომებისათვის;
- მ) უზრუნველყოფს უსკოს დოკუმენტაციის არქივში განთავსებას, შენახვასა და დამუშავებას; *(20.06.2011 №1 დადგენილება)*
- ნ) შესაბამის მასალებს პრესაში გამოსაქვეყნებლად გადასცემს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს; *(28.07.2008 №1 დადგენილება)*
- ო) შესაბამის ინფორმაციას კომპიუტერული დამუშავებისათვის გადასცემს კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახურს; *(28.07.2008 №1 დადგენილება)*
- პ) უზრუნველყოფს უსკოს სტრუქტურულ ერთეულში საქმის წარმოების ერთიანი სისტემის ორგანიზაციას;
- ჟ) ასრულებს სხვა მოვალეობებს. *(28.07.2008 №1 დადგენილება)*

მუხლი 11. იურიდიული სამსახური

იურიდიული სამსახური:

- ა) ამზადებს პასუხებს კომისიაში შემოსულ, მის კომპეტენციაში შემავალ წერილებისა და განცხადებებზე და წარუდგენს მათ კომისიას ან კომისიის თავმჯდომარეს;
- ბ) არჩევნებთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებზე უწევს კონსულტაციას და აძლევს ახსნა განმარტებას კომისიის წევრებს, აპარატის თანამშრომლებს და ქვემდგომ საარჩევნო კომისიებს;

გ) იხილავს არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებს და დარღვევებს, მიღებულ დასკვნებს გადაწყვეტილების მისაღებად